

572
1972

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ԶԻՆՆԱԳՐԱԴԱՐԱՆ



ՀԱՅԿ 1972 N7
03060

ჭუპ-ჭუპ — ზღვა

ნანა შაველიძე

პაწაწინა ზაზულის
სხვა რა უნდა, სხვა,—
ჭრელა-ჭრულა კენჭები,
ჭუპა-ჭუპა— ზღვა...

ნახატი მანანა შორაღლაძისა



არდადეგაზე



გიორგი პაპიაშვილი

ნიატი მახანდ მულისაშვილისა

ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს, შიოსა და იროდიონს ბებია მარიაშვილა კალათით სამხარი გაატანა სიმინდის ყანაში იაგორა პაპასთან.

“იაგორა პაპა შეილიშვილებს მიეგება. კალათა გამოართვა, ტყის პირას გაშალა სუფრა, ამოალაგა საჭმელი და სამხრობას შეუდგნენ.

— იროდიონ, შენ პირველად ხარ სოფელში, აქაურობა მოგწონს?—გამოვლაპარაკა პაპა.

— ძალიან მომწონს, ყოველ წელიწადს ჩამოვალ, დედას შევეხვეწები, რომ არ დადგებზე მუდამ აქ გამომიშვას ხოლმე!

— ყოჩაღ, შეილო. ქალაქს ვინ წაგართმევს, ზაფხულობით კი ჩვენც მოგვინახულე, თავს ნუ მოგვანატრებ.

როცა შიომ და იროდიონმა შინ წასვლა დააპირეს, პაპამ ორი ცარიელი ღოკი გაუწოდა, წყაროს ცივი წყალი მომიტანეთო.

ვიდრე ბიძაშვილები წყაროსთან მივიდოდნენ, გზის მარჯვნივ, პურის ოქროსფერ ყანაში შიომ კვამლი შენიშნა:

— იროდიონ, ხედავ, ცეცხლი უკიდია!

— რას?

— ყანას!

კვამლი თანდათან ალად გადაიქცა.

იროდიონმა ხელი მოიჩრდილა:

— ჩქარა, შიო, ხელადებით წყალი ზიდე, ცეცხლს დაასხი, მე კი ფხვიერ მიწას მივაცური ხალათის კალთით.


შიო და იროდიონი წყლითა და მიწით ცეცხლს გბრძოდნენ, წარბები შეფეტრუსათ. იროდიონს ხალათიც დაეწვა, მაგრამ არ შეშინებულან, ცეცხლი მაინც ჩააქრეს.

ბიჭებმა წყაროზე ღოკები აავსეს და ყანაში პაპას ჩაუტანეს. იაგორამ ბიჭები რომ დაინახა, გოცებით ჰკითხა:

— ეგ რა მოგსვლიათ, სახე გაგმურვიათ, თმები დაგწვიათ?!

შიომ და იროდიონმა ყველაფერი დაწვრილებით უამბეს.


პაპა იაგორამ ბიჭებს ხელი მოხვია:
— ეტყობა, ვილაკას პაპიროსის ნამწვი გადაუღვია ყანაში, თქვენ გენაცვალათ პაპა, რომ იუოჩაღეთ და მასხელეთ!




11826

ნეტავი რა არსებობს?

საქართველოს
სამხატვრო ხელოვნება



ჯანსუღ ნიჟარაძე
 ნემსმა ძაფს უთხრა:
 — იცოდე!
 შენი უფროსი და ვარ!—
 ძაფმა იუვირა არაო,
 ატყდა ჩსუბი და დაფა.
 — რა გინდა?
 რა გაღრიალებს?!—
 საჩხუფლუტად იწვევს ნემსი,—
 გუტუობა გამოსუფლადი,
 აღარაფერი გესმის!
 თქვი, დედოფალას საკაბეს
 როცა ვკერავდი გუშინ,



შე მახანჩლავ, ვინ იყო,
 რომ მოძუვებოდა კუდში?—
 ძაფი ბოლქმისგან გამაფდა,—
 ჩავაშხამებო სიცილს.
 — იქნებ ის გიკვირს, ტრანბასე,
 მსოფლიდ ჩსუფლუტა რომ იცი!—
 ბოლოს სითსითით დასმინა:
 — რაო, არ იცი განა?
 უჩემოდ დაიკარგები,
 როგორც უტარო დანა!—
 ამაზე დანა გაბრახდა,
 ველარ დაფარა წყენა:



— ეს შენ თქვი? აქვთ პობრმანდი?
 ძირში პოკაჭრა ვნა!
 სისწლს დაფურო, ველარ ზვიტან
 შურაცხოფას ამკვანს!
 იქნება ჩემს მძას მადარებთ,
 მუქთაჭამია ჩანგაღს!—
 ანლა ჩანგაღმა იწუნა:
 — აბა, სად შენ და სად მე?
 უთხრა: უჩემოდ სუფრანზე
 თუ ეოფილხარო სადმე?—
 ჩემსი—მაფს,
 ანას—ჩანგაღი,



წინ ვადაუღვა რისხვით,
 იხმის მსხვრევა და ჯახანი,—
 მე ვარო ქების ღირსი.
 ქახანაეს მინდევს ფილთაქვა,
 ღამბაქს ფინჯანი მისი,
 შიშით ცანცანებს საცვრი,
 იღვრება მხათა სისწლი.
 საკუჭნაოში ხმურზე
 გამოეღვიბა მხათს:
 — რას წხუბობთ? უერთმანეთოდ
 ერთი მითხარით: ვარჯხართ?!



პლაიმაკ ასლაგუნიშვილი

პაპაჩემი კერამიკულ ქარხანაში მუშაობს. ცო-
მივით მოზედილი თიხისაგან სურებს, კინჭილებ-
სა და ფიალებს აკეთებს. ერთხელ პაპამ წაბ-
ლისფერი, ღამაზად მოხატული კინჭილა მომი-
ტანა. მაშინვე წყაროსაკენ გავქანდი.

წყაროზე რომ მივედი, იქ ერთი უცხო კაცი
დამხვდა.

ნახატები ზურაბ კაპანაძისა

— სულზე მომისწარი, — მითხრა კაცმა ღიმი-
ლით და ხელი გამომიწოდა, — მათხოვე შენი
კინჭილა!

იმ კაცმა კინჭილა წყაროს შეუდგა, ჯერ წყა-
ლი გამოავლო, მერე აავსო და საყვარივით პირ-
ზე მიიყუდა.

— რაკ-რუკ, რაკ-რუკ, — არაკრაკდა კინჭილა.

ცოტა წუელი რომ მოსვა, კაცმა ხული მოითქვა და მერე ჭინჭილა ისევ არაკრავდა.

— ეგრე მტერი დაგეცალოსო,— თქვა და ცარიელ ჭინჭილას უწრადლებით დაუწყო სინჯვა, თან კმაყოფილებით თავს იქნევდა.

— რა კარგია, სად იუიდე?

— არსად, პაპამ მანუქა!

→ პაპამ სადღა იუიდა?

— თვითონ გააკეთა!

— თვითონ?!— გაუკვირდა კაცს.

— დედას გეუციტები, თვითონ გააკეთა! პაპა სურებსაც აკეთებს და ფიალებსაც.

— მოო, კერამიკულ ქარხანაში მუშაობს?

— დიახ, ძია!

— ოქროს მარჯვენა ჰქონია პაპაშენს!— თქვა და ჭინჭილა მომწოდა.

ჭინჭილა წულით აფავხე და შინისაკენ მოვუსვი.

შინ რომ მივედი, პაპას ხელეზე ვეცი.

— მიჩვენე მარჯვენა ხელი!

— მარჯვენა ხელი გიჩვენო?— ვერ ვიპაპამ.

— ჰო, მიჩვენე, მიჩვენე!— ვთქვი და პაპას მარჯვენა ხელის თითებში ორივე ხელით ჩავეკიდე. დიდი, ძარღვიანი ხელი ჰქონდა, თანაც ისეთი თბილი, ისეთი, რომ მინდოდა გულში ჩამეკრა.

— ეს ხომ ისეთი ხელია, როგორიც ჩვენ გვაქვს!— ვთქვი მე.

— აბა, რა გეგონა?!— გაიცინა პაპამ და ხელზე ისე დაიხედა, თითქოს პირველად ხედავსო.

— იმ კაცმა კი იცი რა თქვა?

— ვინ კაცმა?

— წუაროზე რომ შემხვდა!

— რა თქვა?

— პაპაშენს ოქროს მარჯვენა ჰქონიაო.

პაპამ გაიღიმა.

— უველას, ვინც კარგ საქმეს აკეთებს, ოქროს-მარჯვენაიანს ეძახიან. ეცადე, შენც ისეთი კარგი გაიზარდო, ოქროსმარჯვენაიანი დაგიძახონ.





მურციკელი

გუგან სავნიძე



ისევ ცელქობს მურიკელა,
 ვით ცელქობდა უწინა,
 ბომბორა კუდს აქიციანებს
 კაცმა თუ გაუცინა.
 მუდამ ბებოს დასდევს კუდში,
 კეთილსა და უწყინარს..
 გუშინ ჯოხიც დაუმალა,
 აღარ გამოუჩინა.
 ახლა ისე დადის ბებო,
 ჯოხი აღარ უჭირავს!



თაგუნია

გ. კორიანი

თაგვს ჰკითხეს:—აბა, ვინ არის
 ყველაზე დიდი მხეცი?
 — რალა თქმა უნდა კატაა,
 ფისო,—ემმაკის კერძი.

— როგორ! აფთარი, ფოცხვერი,
 ან ლომი სისხლის მღომი?
 — ვინც გადამსანსლავს ის არის,
 ჩემთვის ვეფხვიც და ლომიც!

სამხუროდან თარგმნა ქ. გომიბაშვილმა



პალაყინი

ზაპარია შერაზალიშვილი

მეძახიან ძალაყინს,
მუშა კაცის მოძმეს,
და უჩემოდ ძნელად თუ
დაასვამენ ზოდებს.

თუკი მახლავს წერაქვი,
და თუ მახლავს ბარიც,
შეგვიძლია დავიპყროთ
მთელი მთა და ბარი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალი

ქუჩაში დაუდგამთ სოკო,
ჩუხჩუხით ამოდის წყალი,
სოკოს ვერ წვდება გოგო,—
ჩვენი ჭიკჭიკა ლალი.

წყალი სწყურია და როგორ,
სწყურია პატარა ლალის,
აიყვავთ პაწაწა გოგო,
დაალევინეთ წყალი!





თვითმზრინი

ლაპარაგო შიშიძემ

ნახატი ზაპრ ლეისაძისა

დღეა დაღლილი მოვიდა სამუშაოდან. გაალო კარი და რას ხედავს? მთელი ოთახი მონაგვიანებული დახვდა, — გეგონებოდით, საღურგლო გაუხსნიათო.

— ეს რა ამბავია, გია?

— ვმუშაობდი, — დარცხვენით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— აბა, მიჩვენე შენი ნამუშევარი!

გია მ თვითმზრინავი მოუბრუნინა.

ახლა არ იკითხავთ, როგორი იყო გიას თვითმზრინავი? გაჩორკნილი მსხვილი ჯოხი. ამ ჯოხს აქეთ-იქით ფრთები ჰქონდა. ერთი თხელი ნაფოტი ჯოხისათვის ცხვირზე მიეკრა, აქაოდა, პროპელერიაო.

დღეა იღვა და ხმას არ იღებდა.

გია კი დედას უტკეოდა და ელოდა: ან ახლა შემაქვებს ან ახლაო.

— ხომ კარგია, დედა? — ველარ მოითმინა ბოლოს.

— ბიჭო, შენ რომ გაქვს ამდენი სათამაშო, მთელ მაღაზიას არ ექნება. თვითმზრინავი თუ გინდოდა, მაგის მეტი რა გქონდა?!

— არა, დედა, ჩემი ვაკეთებული ყველას მირჩევნია.



ჭალაში

ლარი ბაჩიაშვილი

გავისეირნეთ ბავშვებმა ალაზნის პირას, ჭალაში, გული ვიჯერეთ მთელი დღე ცეკვით, ხტუნვით და თამაშით. უცებ მანანა იძახის:

— აგერ ციცარი, ციცარი! —

გოგამ უთხრა: — რას ამბობ, ხონობი ველარ იცანი?!

ნახატი ვაჟა ლათაბაშვილისა



არ დაიძალა მამუკამ
სმლისა და თოფის ტრიალი,
ახლა მურისა მივარდა
უფინითა და ღრიალით.
მურამ უთმინა, უთმინა,
კუდიც კი გაუქიცინა,
სულ მთლად რომ თავზე დააჯდა,
ბოლოს მურამაც იწუნა.
შემოახია შარვალის,
მერე ისეთი იფრინა...
შარვალჩანსდილი რომ წასა
დაწვა და ბევრი იცინა.

ნახატები თამარ ხშიშვილისა

მამუკა

ნოღა ლუბაძე

გადივრისა მამუკამ
სიძინდის ფონის უღვამი,
თოფისწამალი ჩაუარა
თავის სელთოფას ლულაში.
ჯონის მერანზე გადაჯდა,
დნსცხო ბუკი და ნაღარა,
ოჩანი ცხენის არ იუოს,
ტუუზად ტლინკებიც აუარა!
თავზე დაესხა ბოჩოლას,
აკუწა მკვანე კვანები.
— ბიჭო მამუკა, დაწვენარდი,
იცადე, გაილანები.—





მამალი რისი მამალია თუ არ ყოფილა... მამლაყინწაც სხეებით ყიოდა. ჰი... მამლაყინწაც ლად გაჩუმდებოდა: იყენენ სოფელში უფრო გამოცდილი და დროის უკეთესად შემტყობი მამლები. დაიწყებდნენ ისინი, გადმოსძახებდნენ მეზობლებს, მეზობლები კიდევ მეზობლებს და მერე ჩვენი მამლაყინწაც აფათქუნებდა ფრთებს და დაპყივლებდა.

სიმართლე თუ გინდათ, არც ხმა ჰქონდა გადასარევი, სოფელში იყენენ მამლები, უკეთესი ხმა რომ ჰქონდათ. ასე რომ, იქაურ მამლებთან ერთად ყიოდა ჩვენი მამალიც და სხეებთან ერთად ათენებდა მთვარიან თუ უმთვარო ღამეს. მაგრამ როცა იგი წამოიყივლებდა, გუნებაში ჩუმად ფიქრობდა: მგონი ცაგამთენია ვარო. თვითონვე უკვირდა.— რატომ ვფიქრობ ასე, მე სხეებს რითი ვჯობივარო. სირცხვილისაგან ბიბილოები უწითლდებოლა და თვალებს ხუჭავდა. წამოიყივლებდა და გუნებაში ისევ იტყოდა: ცაგამთენია ვარო.

და ამ მამალს წაავლეს ერთ დღეს ხელი. გაუკრეს ფეხი... ცოცა არაყი დააღვეინეს, მატარებელში არ აგვიყივლდესო, დააძინეს, ჩაჩურთეს ჩანთაში და ჰაილა, გაუყენეს გზას ჩაიყვანეს ქალაქში, გაუხსნეს კანაფის თასმა და სამზარეულოში მაგიდის ფეხზე გამოაბეს, ქვევით ქალაღი დაუფინეს, ყვითელი სიმინდის მარცვლები დაუყარეს და ფინჯნით წყალი დაუღვეს.

ნაშუალამევი იყო, რომ გამოვლენია. ნამთვრალევეზე თავი ტყიოდა, მაგრამ მინც ცაახსენდა, რა ხანია არ მიყივლიაო. გააყურ-გამოაყურა, სიჩუმეა.

გაუკვირდა, ხმას არავინ იღებს, სანამღე აპირებენ ბნელში ყოფნასო, მაგრამ თვითონ ხომ პირველად თავის დღეში არ ყიოდა, ამას გარდა, ნამთვრალევეზე თავი უსკდებოდა, წყალი მოსვა და ჩათვლიმა.

გაეღვიდა. კვლავ არავინ იღებს ხმას: კი, მაგრამ აქ ბნელში ცხოვრობს ეს ხალხი, თუ რა არისო—გაოცდა, მაგრამ უხასიათოდ იყო და,—ისევ ჩაეძინა.

კარგა ხნის მერე გაეღვიდა. მას ხომ ყო-

მოცა იოსელიანი

ცაგამთენია

ხ ღ ა მ ა რ ი

ვიც ამ ამბავს წაიკითხავს, უსათუოდ იტყვის:

— აუჰ! დამიწყო ახლა ჭკუის სწავლებათ. არა ბატონო! რავა გეკადრებათ, ამისთანა მოსაწყენ საქმეზე ან მე რატომ შევიწუხებ თავს და ან თქვენ როგორ მოგადღვთს. განა არ ვიცი, რომ თქვენ უკეთ მოგვხსენებათ: ტრახახა, მატრახახი და ყოყლოჩინა არავის უყვარს? განა თქვენ ამაზე ისედაც ბევრი არ წაგიკითხავთ? ამას არ გეჩიჩინებთ დედა, ბებია, დეიდა და მამიდა?... გარდა ამისა, მამალზე რამდენი ზღაპარი და არაკი მოგისმენიათ.

არა, ბატონო, მე ერთ უბრალო მამლაყინწაც მინდა გიაზბოთ, რომელიც პატარა სოფლიდან დიდ ქალაქში ჩამოიყვანეს. არ ვიცი, ბებიამ გამოუგზავნა შვილიშვილს თუ... რალა თქმა უნდა, ბებია, ბებია გამოუგზავნიდა.

ველთვის სხვა, უფრო გამოცდილი და დროის უკეთ შემტყობი მამლები აღვიძებდნენ. ისევ არაა ბაიბურჩი.

— მეტი აღარ შემიძლია!—თქვა მამლაყინ-წამ, მაგრამ ხმა მაინც ვერ ამოიღო,—იქნებ აქ ასეთი წესი აქვთ, პირველად სტუმარმა უნდა დაიკვილოს. თუ ასეა მაშინ ამოდენა ქალაქი ბნელში დარჩება და უნდა მოვიხდომო.

მაგრამ ის ყოველთვის სხვების აყოლას იყო მიჩვეული და ნამეტანი გაუჭირდა: აფათქუნდა, ცალი ფრთა მაგიდის ფეხს მოარტყა და ნამთვრალევი, ჩახლენილი ხმით: ყი-ყი-ყიყლიყოო!—დაიძახა.

თვითონაც არ მოეწონა. ეს რა წამოვასლოკინე, ხომ მომეჭრა თავიო,—მაგრამ პასუხი რომ არავინ გასცა, შეშფოთდა:

— ამ ქვეყანაზე ჩემს მეტი არავინაა თუ რა ხდებაო?!—ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მაგიდის ფეხს მოსცილდა, აფათქუნდა და შემოსძახა:—ყი-ყლიყო!

ისევ და ისევ ღუმილი.

— არიქა, მთელი ქალაქი ბნელში ყოფილა, მე აქ გასათენებლად ჩამოვუყვანივართო!—დასცხო და დასცხო, იყივლა და იყივლა.

მართლაც არ გაუვლია დიდხანს, რომ ინათა.

— არ მოვიკიდე ამათი მადლი! ცაგამთენია ვყოფილვარ. ნეტავ რა ვშველებოდათ. მე რომ არ ჩამოვსულიყავიო!

მართლაც და, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო. სოფელი რამდენად პატარაა და რამდენი მამალი იხლიჩავს ყელს, რომ დღის ნათელი მოიყუნოს. აქ კი, ამოდენა ქალაქში, ერთმა მამალმა მარტოდმარტო გაათენო?!

— აღბათ რა ხანია ბნელში იყვნენ ეს უბედურები. ბარაქალო, ბარაქალო! რომ ვყოფილვარ, რა ვყოფილვარო!—ისევ შეჰყივლა და მზეც ამოგორდა. ახმაურდა ქალაქი: მანქანა, ტრამვაი, ტროლეიბუსი, თვითმფრინავებიც კი აზუზუნდნენ.

— ნეტავ რისი მრცხვენოდა, ჩემი თავის ფასი არ მკოდნია, ეს რა უქენი, რა ჩავიდი-



ნე, მამალი კი არა, ცაგამთენია მელა ვარო
ეს იფიქრა, და ფრთა ფრთას შემოჰკრა, დაი-
ცივლა.

აბა, მელიებს რა გამოეპარებოდათ და ზოო-
პარკში მაშინვე ხმა გავარდა: ვილაღ მამლა-
ყინწა ჩამოვიდა და მელიობას იჩემებსო.

ეს კიდევ არაფერი. მეორე ღამეს, როგორც
კი ქალაქი მიყუჩდა, მაშინვე საქმეს შეუდგა.
იყივლა და იყივლა. იმ ღამეს უფრო მეტი
ჯაფა დასჭირდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს,
მაინც გაათენა. გათენდა და გაცოცხლდა ქა-
ლაქი.

— ეს რა ცაგამთენია ვარ, რამოდენა ქა-
ლაქი ვიხსენი წყვილიაღსაგან, მე მელა კი
არა, მგელი ვარ, რუხი მგელიო.

ეს ამბავი რომ ზოოპარკში გაიგეს, მელიე-
ბი და ტურა-ფოცხვერები ყურებში თათებს
იტობდნენ.

შესამე ღამესაც არ დაუზოგავს თავი მამ-
ლაყინწას: ქვეყანა ბნელეთს უნდა გამოგ-
ლიჯოო.—იყივლა და იყივლა. ახლა ხმაც
მოსწონდა თავისი და ფრთების ტლაშუნიც.
გაათენა და აგრიალდა ქალაქი.

— მგლისა რა მცოდნია. ვინაა მგელი, ცა-
გამთენია ვეფხვი ვარ. ანკი მგლობა როგორ
ვიფიქრე, მე ხომ ვეფხვევით ჭრელი და ლა-
მაზი ვარო და კიდევ დაიყივლა.

ვეფხეს თურმე ამაზე ყურიც არ შეუ-
ბერტყავს.

მეორე ღღეს ბუშეებმა მამალი ფხოში ჩა-
მოიყვანეს: უკვე მოჩვეული იქნება, გაიარ-



გამოიაროსო. საღამოს კი თავზე ღიმიონათის
 ცარიელი ყუთი დაამხვეს და იქვე დატოვეს.

იმ ღამეს შებინდებიდან დაიწყო ყვირილი
 და დილაზე კინალამ თავი მოიკლა. გათენ-
 და, ამოგორდა უშველდებელი მზე, აზრიალდა
 ქალაქი და მამალი არც დაეკვებულა, საქვეყ-
 ნოდ დაიტრაბახა:

— ახლა მარტო ამოდენა ქალაქში კი არა,
 სოფელშიც მე ვათენებ, ქვეყნის მხსნელი
 ცვათენია ღომი ვარ და რომ მოვინდო-
 მო, მზეს ყვითელი სიმინდის მარცვლივით
 გადაეყლაბავო.

ზოობარკის გალიაში გამომწყვდეული ღო-
 მი თავის ტყვეობაზე და დაკარგულ ჯუნგ-
 ლებზე დარდობდა, აბა, ამისათვის სად ეცა-
 ლა, მაგრამ მელიებმა კინალამ თვალები დაი-
 თხარეს, ეცნენ მიწას და ხვრელის გაყვანა
 დაიწყეს.

მამალმა შებინდებისთანავე დასცხო ყვი-
 რი: მზეს ან უკან დავაბრუნებ და დღე და
 ღამეს გავაერთიანებ, ან ჰკუას ვასწავლი, გა-
 დაეყლაბავო.

შულამისას ერთი მელა გამოძერა გალის
 ქვეშ გამოთხრილი ხვრელიდან, გაცუნტულ-
 და ქუჩაში, სულ მუქის ტოლი გახდა, მორი-
 გე მილიციელმა არ დამინახოსო. შეიპარა
 ვზოში, შეჰყო ცხვირი ყუთის ქვეშ და
 მამლაყინწამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწ-
 რო, ზოობარკისკენ წააცანცალა.

დილით უმამლოდაც ამობრძანდა ჩახჩახა
 მზე, ქვეყნიერება გააცოცხლა და ააგუგუნა.





ნუნა ლალიძე

მურაღი

გაიცანით მურაღი,
ბიჭი არის პურაღი,
კარგი მასპინძელია,
ფისოსი და მურასი.

გამოცანა

თევზია უზარმაზარი,
მტაცებელი და ავყია,
ოთხი ასოთი ითქმება, —
გამოიცანით, რა პეკვია?!

როსტომ ულაიძე

რეცუსი



ს



”




“



“

ს

შეადგინა ცაგერის საშ. სკოლის მოსწავლემ მანანა ზაბულაიანმა.






წაგუნა

წრუწუნა ვარ პატარა,
მშიშარა და ფრთხილი,
ნეტავ ყველა ხეს უსხას
კაკალი და თხილი.

მირონ სარგულაძე ზღაგრი


მიყვარს ბაღია—ბოსტანი,
შეგზარი ჩვენს ბუნებას,
რა სულობია ბოსტანში
მახრის ჩახრამუნებას.



თავსაგანი

შევესეთ ცარიელი უჯრედები ქართული
კნოფილმების სახელებით.

შეადგინა კასპის რიონის, სოფ. სასირე-
თის საშ. სკოლის მოსწავლემ გიული ბევი-
ტაშვილმა.



მთავარი რედაქტორი მუხრან წაბახაძე



საბავშვო კლდეია: კუპრაძე გიორგიშვილი, ლილია ტაბაძე, ჯეგია ლოლა, ჯარა ლეონიძე, ნახადა
მადონიშვილი, იოსებ მინდრაძე (პ/მ მდივანი), ზალბა მხარამი (სამ. რედაქტორი), პინი მინდრაძე

საქ. კ. ც. ც. ს. საქ. აღმ. ც. ს. და ვ. ი. ლუწინის სახელობის პირველი ობიექტის განყოფილება საქმეების განყოფილება
უფრო ნახარ. ანა ნატოშვილი, 10 წ. ტექნიკური მ. რ. 0607300

საბავშვო რედაქციის განყოფილების საგანბო—თბილისი, ლენინის, 14 ტელ.: მო. რედაქციის—93-41-30, 93-98-15;
საბავშვო რედაქციის განყოფილების საგანბო—თბილისი, ლენინის, 14 ტელ.: მო. რედაქციის—93-41-30, 93-98-15;
საბავშვო რედაქციის განყოფილების საგანბო—თბილისი, ლენინის, 14 ტელ.: მო. რედაქციის—93-41-30, 93-98-15;

ფილიალური რედაქციები: მ/მ-72 წ. ზღმწერლის განყოფილება მ/მ-72 წ. კვლევის სამსახურში
ფილ. ნაბ. დირექტორი 169.700, ზღმ. № 1317. „მთა“ № 7. სა. რედაქციის მხარე. ფასი 20 კპ.

76055



„ჩვენ ეზო“—ნახ. ირაკლი ცინცაძისა, 6 წ. თბილისი.
 „ცეკვა“—ნახ. ლეილა ნახუილაშვილისა, 10 წ. პარიზი.
 „ჩემი აშხანაგი“—ნახ. ფიქრია ყუშიტაშვილისა, 5 წ. თბი-
 ლისი.



„კახელი კაცი“—ნახ. დედან ბერიძისა, 9 წ. თბილისი.
 „ატეშო“—ნახ. გელა ჭანჭავაძისა, 6 წ. თბილისი.
 „ჩიტა“—ნახ. გოგი ციციშვილისა, 5 წ. თბილისი.

